



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 571  
20/03/2018

ქალაქი ბათუმი

571-05-4-201803201555



**ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.32.07.733) 100 კვ.მ მიწის ფართის სერვიტუტის ფორმით დატვირთვის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, მოქალაქე დავით კონცელიძის 2018 წლის 31 იანვრის №1576/05 განცხადების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 19 თებერვლის №09 განკარგულებისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 9 მარტის №715-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მოქალაქე დავით კონცელიძის სასარგებლოთ სერვიტუტის ფორმით დაიტვირთოს ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 05.32.07.733) 100 კვ.მ ფართი, ორი წლის ვადით.

2. მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ განყოფილებას (გ. ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს მოქალაქე დავით კონცელიძესთან ხელშეკრულება, ხოლო მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

